

**მოსახლეობა:** საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით; დაბადებულთა რიცხოვნობა; გარდაცვლილთა რიცხოვნობა; გარდაცვლილთა რიცხოვნობა სქესისა და ასაკის მიხედვით; გარდაცვლილთა რიცხოვნობა გარდაცვალების ძირითადი მიზეზების მიხედვით; 1 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალება; მკვდარშობილთა რიცხოვნობა; ბუნებრივი მატება; ქორწინებათა რიცხვი; განქორწინებათა რიცხვი.

**ადამიანური რესურსები:** ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალა), დასაქმებულთა, დაქირავებულთა, თვითდასაქმებულთა, უმუშევართა და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა; უმუშევრობის, დასაქმებისა და აქტიურობის დონე.

**ბიზნეს სექტორი:** ბიზნეს სექტორის საქმიანობის ამსახველი ძირითადი მაჩვენებლები (საწარმოთა რაოდენობა, ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების, საწარმოს ზომის, საკუთრების ფორმების, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.

**მრეწველობა:** მრეწველობის დარგის ძირითადი მაჩვენებლები (ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა და დაქირავებულთა რაოდენობა, დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, შუალედური მოხმარების, შრომითი დანახარჯების, დამატებული ღირებულების, საქონლისა და მომსახურების ყიდვების მოცულობები).

**მშენებლობა:** მშენებლობის დარგის ძირითადი მაჩვენებლები (ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა და დაქირავებულთა რაოდენობა, დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, შუალედური მოხმარების, შრომითი დანახარჯების, დამატებული ღირებულების, საქონლისა და მომსახურების ყიდვების მოცულობები), მშენებლობაზე გაცემული ნებართვები და მშენებლობით დამთავრებული ობიექტები.

**მომსახურების სფერო:** ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სასტუმროებისა და რესტორნების დარგის ძირითადი მაჩვენებლები (ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა და დაქირავებულთა რაოდენობა, დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, დამატებული ღირებულება, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, შუალედური მოხმარება, შრომითი დანახარჯები, საქონლისა და მომსახურების ყიდვები, გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები).

**ცხოვრების დონე:** შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა.

**ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა:** საავადმყოფოების, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა, სტაციონარული საწოლების რაოდენობა, სამედიცინო კადრების რიცხოვნობა, ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ექიმთან მიმართების რიცხვი, სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რიცხოვნობა.

**განათლება:** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) რაოდენობა, მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა.

**კულტურა:** რეგიონში არსებული კულტურის ორგანიზაცია-დაწესებულებების რაოდენობა სახეების (მუზეუმები, თეატრები) მიხედვით, აგრეთვე გაწეული მომსახურების სახეები (მუზეუმებში დამთვალიერებელთა, გამოფენებისა და ექსკურსიების რაოდენობა, თეატრებში მაყურებელთა და წარმოდგენების (სპექტაკლების) რაოდენობა).

**ინფრასტრუქტურა:** ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების პროცენტული წილი, შინამეურნეობების პროცენტული განაწილება სასმელი წყლის ძირითადი წყაროების მიხედვით.

**საავტომობილო გზების სიგრძე:** ა) საერთაშორისო მნიშვნელობის (კმ); ბ) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (კმ).

**სოფლის მეურნეობა:** ერთწლიანი კულტურების ნათესი და აღებული ფართობები, წარმოება და საშუალო მოსავლიანობა; მრავალწლოვანი კულტურების წარმოება; პირუტყვის და ფრინველის სულადობა; მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება.

**გარემოს დაცვა:** საქართველოს ტყის ფონდი; ტყის აღდგენა; ტყის თესვა და დარგვა; ტყის ბუნებრივი განახლებისთვის ხელისშეწყობა; ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა; ტყის უკანონო ჭრა; წყლის აღების, გამოყენების და ჩამდინარე წყლის ჩაშვების მაჩვენებლები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით სტაციონარულ წყაროებში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების გაწმენდა (დაჭერა-გაუვნებელყოფა) და ატმოსფეროში გაფრქვევა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები:** პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა რეგიონულ კრილში.

**მთლიანი შიდა პროდუქტი:** მთლიანი დამატებული ღირებულებები ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახეების მიხედვით.